გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №57
2024 წლის 5 ნოემბერი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების 141-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმა, დანართი №1.1-ის და დანართი №1.2 -ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა, დანართი №2.1-ის დანართი №2.2-ის და დანართი №2.3-ის შესაბამისად;

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი